

# აჭარაში დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურები და მოსახლეობის იძულებითი განსახლება



აპრილი, 2014

გარემოსდაცვითი და სოციალური  
სამართლიანობისთვის  
საქართველოში

## შესავალი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ დეკლარირებული მიზანია ენერგო-დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანა მიისწრაფვის არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისკენ; ძირითადი ყურადღება ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებას ეთმობა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შეიცვალა პოლიტიკური ძალაუფლება - პარლამენტშიც და მთავრობაშიც ოპოზიციურ პარტიათა გაერთიანება მოვიდა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლამდე კრიტიკული იყო წინა მთავრობის მიმართ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ახალი მთავრობა, ისევე როგორც მისი წინამორბედი, კვლავ აწარმოებს ინტენსიურ კამპანიას ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების მოსაზიდად.

მსხვილმასშტაბიანი ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის ინტენსიური კამპანიის პარალელურად, საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება მსგავსი პროექტებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, პროექტების განხორციელებით გამოწვეული უარყოფითი სოციალური ზემოქმედება წარმოადგენს.

ხშირად, მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (მაგალითად, დიდკაშხლიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა) იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით განსახლებას. იძულებით განსახლებას მოჰყვება ადგილობრივი წარმოების სისტემის მოშლა, საქმიანობისა და შემოსავლის წყაროების გაქრობა, სათემო სტრუქტურისა და სოციალური ქსელის შესუსტება; ადამიანები შესაძლოა აღმოჩნდნენ ისეთ გარემოში, სადაც ნაკლები რესურსი მოიპოვება ან მათი სოციალური და პროფესიული უნარები ნაკლებად გამოყენებადია. იძულებითი განსახლება ზეგავლენას ახდენს არამარტო გადასახლებულ ადამიანებზე/თემზე, არამედ დარჩენილ მოსახლეობაზეც (ადამიანთა ჯგუფი, რომელიც თავად არ გადაადგილდა, მაგრამ ბარალდება მეზობლებისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვის გამო) და მასპინძელ მოსახლეობაზე (ადამიანები/თემი, რომლებიც იღებენ გადასახლებულ პირებს).

იმდენად, რამდენადაც საქართველოს დღემდე არ გააჩნია სახელმწიფო პოლიტიკა განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლების სფეროში, საქართველოში განხორციელებულ პროექტებში გამოყენებული პრაქტიკა ხშირად განსხვავებულია. მიდგომა, როგორც წესი, დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ჩართული პროექტში ესა თუ ის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი.

პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე, იძულებითი განსახლების შემთხვევაში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები შეზღუდული არიან საკუთარი ოპერაციული პოლიტიკით (operational policies), რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა მიდგომები, წესები და პროცედურები უნდა იქნეს გამოყენებული ასეთ შემთხვევებში. თუ პროექტი ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის/მთავრობის ინიცირებით და მასში არ არის ჩართული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, როგორც წესი, არ ხდება იძულებითი განსახლების კომპლექსურობის გათვალისწინება, არ არის სათანადოდ მეფასეული განსახლების ზემოქმედება ადგილობრივ თემებზე, თავად იძულებითი განსახლების პროცესი არ არის კარგად დაგეგმილი და შესაბამისად, პროექტის განხორციელებისას თავს იჩენს არაერთი პრობლემა; ხშირად, ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევასაც.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ჰიდროელექტროსადგურების პროექტები, სადაც ამ პროექტების

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.  
ტელეფონი: (995 32) 29 27 73  
ფაქსი: (995 32) 22 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შემცირების, მათ შორის, განსახლების საკითხს, პროექტების განმახორციელებელი ინვესტორი კომპანიები, სხვადასხვაგვარად უდგებიან.

თურქული კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“ მდინარე ჭოროხზე კირნათი ჰესისა და ხელვაჩაური I და II ჰესების პროექტებს ახორციელებს. ამ პროექტებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არ მონაწილეობენ. მდინარე აჭარისწყალზე კი, ნორვეგიული კომპანია „ქლინ ენერჯი ინვესტის“, ინდური „ტატა ფაუერისა“ და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (International Finance Corporation, IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფი) მონაწილეობით დაგეგმილია შუახევი ჰესის, კორომხეთი ჰესისა და ხერთვისი ჰესის პროექტები. ასევე განიხილება ამ პროექტებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ჩართვა. მომდევნო თავებში განხილულია ზემოთ ჩამოთვლილ პროექტებში კომპანიების მიერ გამოყენებული მიდგომები.

## 1. მდინარე ჭოროხზე და მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი ჰესების პროექტები

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდინარე ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების<sup>1</sup> მშენებლობის შესახებ საქართველოს მთავრობასა და თურქულ კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი 2008 წელს დაიდო. მემორანდუმში მოხსენიებული შვიდი ჰესიდან დღეს სამი - კირნათი ჰესის, ხელვაჩაური I და II ჰესები - ხორციელდება. პროექტი ითვალისწინებს მდინარე ჭოროხზე სამი რკინა-ბეტონის კაშხლის (კირნათი - 8ღვის დონიდან 54.5 მ; ხელვაჩაური I - 42.5 მ და ხელვაჩაური II - 32.5 მ) მოწყობას, რომელთა საერთო სიმძლავრემ უნდა შეადგინოს 113 მგვტ (კირნათი - 35 მგვტ; ხელვაჩაური I - 42 მგვტ და ხელვაჩაური II - 36 მგვტ).

პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის საერთო ფართობი დაახლოებით 2.5 კვ.კმ-ს შეადგენს, საიდანაც დაახლოებით 2.25 კვ.კმ ფართობი დაიფარება წყლით. დატბორვის ზონაში ყვება სოფელ ერგეს, მახოს, მირვეთის, აჭარისწყლის, მარადიდისა და კირნათის მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთები (დაახლოებით 190 ოჯახი); ფიზიკურ განსახლებას შესაძლოა დაეჭვემდებაროს 5-7 ოჯახი.

მდინარე აჭარისწყლის ხეობაში აჭარისწყლის ჰესების კასკადის მშენებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობასა და ნორვეგიულ კომპანია „ქლინ ენერჯი ინვესტს“ შორის ხელშეკრულება 2011 წლის 10 ივნისს გაფორმდა. პროექტი ითვალისწინებს სამსაფეხურიანი ჰესების კასკადის მოწყობას, რომლის შემადგენლობაშიც შედის შუახევი ჰესი (185 მგვტ), კორომხეთი ჰესი (150 მგვტ) და ხერთვისი ჰესი (65 მგვტ)<sup>2</sup>.

ამჟამად კომპანიას მშენებლობის ნებართვა (და შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაც) მოპოვებული აქვს მხოლოდ შუახევის ჰესის პროექტის განხორციელებაზე. პროექტი ითვალისწინებს 22 მ სიმაღლის სხალთის კაშხლის (წყალსაცავი - 19.4 ჰექტარი), 39 მ სიმაღლის დიდაჭარის კაშხლისა (წყალსაცავი - 16.9 ჰექტარი) და თითო დამბის მოწყობას მდ. აჭარისწყალზე, მდ. სხალთასა და მდ. ჩირუხისწყალზე. ასევე, იგეგმება სადერივაციო გვირაბების (5.8 კმ, 9.1 კმ და 17.8 კმ სიგრძის სამი გვირაბი) მშენებლობა და ძალოვანი კვანძების განთავსება სხალთის წყალსაცავის ზედა ბიეფსა (9.8 მგვტ) და შუახევის სიახლოვეს მდ. აჭარისწყლისა და ჭვანისწყლის შესართავის ზემო წელში (175 მგვტ).

შუახევის ჰესის ზემოქმედების არეალში ყვება სოფლების დიდაჭარის, კვატიას, ნაბლანას, ღურტას, ახალდაბას, ჩანჩხალს, ფაჩხასა და მახალაკიძეების ტერიტორიები, დაახლოებით 70.5 ჰექტარი (705.277 კვ.მ) მიწის ნაკვეთი, საიდანაც დაახლოებით ნახევარზე მეტი (355.277 კვ.მ) წარმოადგენს მოსახლეობის (369 ოჯახი) საკუთრებას. პროექტი არ ითვალისწინებს მოსახლეობის ფიზიკურ განსახლებას.

## 2. სოციალური ზემოქმედების შერბილება - კომპანიათა მიდგომები

მიუხედავად იმისა, რომ წინა თავში აღწერილი პროექტები ერთ რეგიონში ხორციელდება და პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებებიც, შესაბამისად, ხშირად, მსგავსია და მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, სოციალური საკითხებისადმი პროექტების განმახორციელებლების მიდგომები ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდება. ეს ეხება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი მიწების რეგისტრაციისა და კომპენსაციის, ისე, ზოგადად, მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, მდინარე ჭოროხზე დაგეგმილი ჰესების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ ყვება დაახლოებით 250 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო განსახლებას ეჭვემდებარება 5-7 ოჯახი. მიუხედავად ამისა, „აჭარ ენერჯი 2007“-ს დღემდე არ მოუშმადებია განსახლების სამოქმედო გეგმა, სადაც დასაბუთებული იქნებოდა განსახლების აუცილებლობა და განწერილი იქნებოდა ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების კონკრეტული ღონისძიებები.

<sup>1</sup> კირნათი ჰესი, ქობულეთი I და II ჰესები, კირნათი ჰესი, ხელვაჩაურის ჰესი, ჭოროხი I და II ჰესები.

<sup>2</sup> როგორც მოგვიანებით გაირკვა, კომპანია აღარ გეგმავს ხერთვისის ჰესის მშენებლობას, ვინაიდან საპროექტო არეალი ემთხვევა მაჭახელას დაგეგმილ დასახლებულ ტერიტორიებს.

კომპანიამ იძულებითი განსახლებით გამოწვეული ზიანი და საკომპენსაციო ღირებულებები განსაზღვრა მხოლოდ ქონებასა და მიწის ნაკვეთებზე საბაზრო ფასების გათვალისწინებით. ეს პრინციპი (ადგილობრივი საბაზრო ღირებულებით გათვლა) ეწინააღმდეგება როგორც გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს<sup>3</sup>, რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა, ისე მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკებსაც, რომელთა თანახმად, ადამიანებს უფლება აქვთ უკეთეს ან მსგავს ალტერნატიულ მიწაზე და ადეკვატურ საცხოვრისზე, რომელიც მოიცავს ცხოვრებისთვის აუცილებელი საშუალებების არსებობასაც (შრომის, ინფრასტრუქტურას და სხვა საშუალებები).

„აჭარ ენერჯი 2007“-ისგან განსხვავებით, იძულებითი განსახლებით გამოწვეული ზიანისა და კომპენსირებისთვის სხვა მიდგომა გამოიყენა ნორვეგიულმა კომპანიამ - „ქლინ ენერჯი ინვესტმა“; ეს განპირობებული იყო პროექტში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობით. კომპანიის გათვლებით. პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს ადამიანთა ფიზიკურ განსახლებას და შესაბამისად, კომპანიამ განსახლების სამოქმედო გეგმის ნაცვლად, მოამზადა მიწის ნაკვეთების შექმნისა და მათზე საარსებო საშუალებათა აღდგენის გეგმა.

რაც შეეხება მიყენებული ზიანის კომპენსაციის გათვლის პრინციპს, „აჭარ ენერჯი 2007“-ისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, კომპენსირდება არამართო მიწების დაკარგვით გამოწვეული ზიანი (რომელიც შეფასდა საბაზრო ღირებულებით და დაემატა საბაზრო ღირებულების 10%-ი), არამედ ხეებისა და მოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზიანი (საბაზრო ღირებულებისა და ხეების ასაკის გათვალისწინებით). გარდა ამისა, გათვალისწინებულია დაზარალებული მოსახლეობისთვის დამატებით ერთჯერადი კომპენსაციების (400-800 ლარი) გაცემა იმასთვის, რომ არ მოხდეს პროექტისათვის საჭირო მიწების შემდგომი დამუშავება. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს ადგილობრივების გადამზადებას და მშენებლობაზე დასაქმებისას მათთვის უპირატესობის მინიჭებას.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რომლის გადაჭრის აუცილებლობის წინაშე ორივე კომპანია აღმოჩნდა, დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მათი კუთვნილი მიწების რეგისტრაციასა და ამ მიწებზე კომპენსაციების გაცემასთან. „აჭარ ენერჯი 2007“-ი უარს აცხადებს გასცეს კომპენსაციი ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილ ყველა იმ მიწის ნაკვეთზე, რომელსაც მოსახლეობა ტრადიციულად ფლობდა და სარგებლობდა, ან მიწაზე გააჩნდათ ფორმალური უფლებები, მაგრამ მემორანდუმის ხელმოწერის მომენტისათვის საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც 2012 წლის სექტემბერში ადგილობრივმა მოსახლეობამ მოახერხა კუთვნილი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, „აჭარ ენერჯი 2007“-მა ნაცვლად რეგისტრირებული ქონების კომპენსაციისა, სასამართლოში სარჩელი შეიტანა, საჯარო რეესტრის და ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილის წინააღმდეგ, ვინც ამ პერიოდში მოახერხა საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაცია.

„ქლინ ენერჯი ინვესტმა“, ამ საკითხის გადაჭრისას, კარდინალურად განსხვავებული მიდგომა გამოიყენა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, მხოლოდ მიწების რეგისტრირებული მფლობელების კომპენსაციაა შესაძლებელი, ნორვეგიულმა კომპანიამ გადანაცვითა თანაბრად გაეცა კომპენსაციები არამართო ქონების რეგისტრირებულ მფლობელებზე, არამედ მიწების იმ მფლობელებზეც, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთრების დამადასტურებელი რაიმე საბუთი მიწაზე, თუმცა, ტრადიციულად, ოჯახები იყენებდნენ აღნიშნულ მიწას. კომპენსაციის მისაღებად, საკმარისი იყო პირს კომპანიისთვის წარედგინა მეზობლების ხელმოწერილი დასტური მიწის კუთვნილებაზე. გარდა ამისა, კომპანიამ საკუთარი ხარჯებით დაარეგისტრირა საპროექტო არეალში მოქცეული მოსახლეობის იმ ნაწილის ქონებაც, რომელიც არ იყო რეგისტრირებული, თუმცა, მესაკუთრეები საკუთრების დამადასტურებელ საბუთებს ფლობდნენ. მგავსი მიდგომა იქნა გამოყენებული სათემო საკუთრებაში არსებულ მიწებთან დაკავშირებითაც; ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ჩართვით, გადანაწილდა სათემო მიწები და განისაზღვრა მესაკუთრეები.

პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაცია კიდევ ერთი სფეროა, სადაც კომპანიათა მიერ გამოყენებული პრაქტიკა გასხვავდება.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მუდმივად ცდილობს კომუნიკაციას „აჭარ ენერჯი 2007“-თან და არსებული პრობლემების მოლაპარაკების გზით გადაჭრას, კომპანიის მხრიდან ანალოგიური ქმედების სურვილი არ შეინიშნება. აღნიშნულის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა პრობლემების გადასაჭრელად იძულებულია მშვიდობიანი არაძალადობრივი აქციები გამართოს, როგორც საპროექტო ტერიტორიაზე, ისე ბათუმში. კომპანია კი დღემდე გაურბის მოსახლეობასთან პირდაპირ კომუნიკაციას და ცდილობს, სამართალდამცავების გამოყენებით, ზენოლა მოახდინოს ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის თვალსაზრისით განსხვავებულ მიდგომას იყენებს ნორვეგიული კომპანია „ქლინ ენერჯი ინვესტი“. ადგილობრივთა განცხადებით, კომპანია რეგულარულად მართავს შეხვედრებს სოფლებში, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან და სოფლის უხუცესებთან, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რაც უდავოდ მისასაღმებელია.

<sup>3</sup> „განსახლებისა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული აქტივების შექმნის დროს მთავარი პრინციპი უნდა იყოს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის სანაცვლო ღირებულების კომპენსაციის შეთავაზება, რაც გამოიწვევს როგორც აქტივების საბაზრო ღირებულებას დამატებული განსახლებისა და გარიგებების ხარჯები“

ბემოთ აღწერილ მიდგომებში განსხვავების მიუხედავად, ორივე, თურქულიც და ნორვეგიული კომპანიაც, სამწუხაროდ, ერთნაირ მიდგომას იყენებს პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის დადგენის მეთოდის მიმართ. კერძოდ, კომპანიები დაზარალებულად მიიჩნევენ მხოლოდ მათ, ვინც უშუალოდ საპროექტო ზონაში ხვდებიან და დაზარალებულად არ განიხილავენ მათ, ვისაც ეზღუდებათ იმ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რომელზეც ისინი სასიცოცხლოდ არიან დამოკიდებულნი, ან პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა მომავალში მიაღვეთ ზიანი, მაგალითად, სტიქიური მოვლენების გააქტიურების გამო.

მდინარე ჭოროხზე დაგეგმილი ჰესების მშენებლობა გამოიწვევს მიმდებარე სოფლების კუთვნილი 181 ჰექტარი ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საძოვრების დაკარგვას, რაც ამ სოფლების მოსახლეობისგან თანდათანობით დაცლის მიზეზი შეიძლება გახდეს. პროექტის ასეთი ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე საერთოდ არ შესწავლილა.

მოსახლეობაზე ზეგავლენის ეს სახე არ იქნა შესწავლილი არც ნორვეგიული კომპანიის მიერ, შუახვევის ჰესის პროექტის შემთხვევაში. საქმე იმაშია, რომ სოფელ დიდაჭარის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება 39 მ სიმაღლის კაშხლის, ხოლო სოფელი ნაბლიანის მიმდებარედ - სხალთის 22 მ სიმაღლის კაშხლის მშენებლობა. მართალია პროექტი არ ითვალისწინებს მოსახლეობის განსახლებას, თუმცა მოსახლეობა შიშობს, რომ პროექტის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ (პროექტი გულისხმობს დღე-ღამური რეგულირების წყალსაცავის მოწყობას) მენყრული პროცესები კიდევ უფრო გააქტიურდება, რაც გაზრდის სოფლის მაცხოვრებლების იძულებით გადასახლების რისკს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჯარო განხილვისას, ინვესტორმა გამოთქვა მოსახლეობასთან ხელშეკრულების გაფორმების მზადყოფნა - კომპანია აიღებდა კომპენსირების ვალდებულებას, იმ შემთხვევაში, თუ სოფელს კაშხლის გამო, შეექმნებოდა რაიმე საფრთხე. დღემდე მსგავსი ხელშეკრულება მოსახლეობასთან არ გაფორმებულა; მოსახლეობის განცხადებით, კომპანიამ საბოლოოდ უარი განაცხადა მოსახლეობასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

მენყრული პროცესების გააქტიურების გარდა, ადგილობრივი მოსახლეობა შიშობს, რომ სოფლების მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის გამო, სოფლებში მიკროკლიმატიც შეიცვლება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსავლიანობას და გაუსაძლისს გახდის ცხოვრებას. სოფელ დიდაჭარის მიმდებარედ რებერვუარის არსებობის გამო კი, იზღუდება სოფლის კუთვნილ 50 ჰექტარამდე მიწის ფართობზე ხელმისაწვდომობა, რაც მცირემიწიანი სოფლისთვის, დიდი დანაკლისი იქნება.

## დასკვნა და რეკომენდაცია

აჭარაში, მდინარე ჭოროხსა და მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების პროექტები და ამ პროექტების განხორციელებით გამოწვეული იძულებითი განსახლების საკითხებისადმი კომპანიების არაერთგავროვანი მიდგომები ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს გააჩნდეს განვითარების პროექტებით განპირობებული იძულებითი განსახლების სფეროში სათანადო პოლიტიკა, პროცედურები და შესაბამისი ინსტიტუციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ენერგეტიკული პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უფლებების, მათ შორის, საკუთრების, ადეკვატური საცხოვრისის, უსაფრთხო გარემოში ცხოვრებისა და სხვა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა. კანონმდებლობით განმტკიცებული სოციალური დაცვის მოთხოვნების არსებობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ქვეყანაში დაგეგმილია და ხორციელდება ათეულობით ენერგეტიკული პროექტი და აუცილებელია, თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტები და ძვირადღირებული შეცდომები.

განხილული შემთხვევა, ასევე, ყურადსაღებია იმის საილუსტრაციოდ, რომ პროექტში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობა, მართალია ადგილობრივზე (მასპინძელ ქვეყანაზე) უფრო მაღალი სტანდარტის გამოყენების საწინდარია, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს, ამ ინსტიტუტების მოთხოვნების პრაქტიკაში შესრულებას და პროექტის განმახორციელებელზე სათანადო ზეგავლენას.

მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“ და ევროკავშირს განუვლი ფინანსური მხარდაჭერისთვის. ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს და ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2014

